მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N13 (9300) 10 მაისი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

გამარჯვების დღეს მილოცავთ!

3

და საქართველო ლოცავდა ქუთაისის ქუთაისობას

5

გიორგი ზაქარიაძე _ იმერეთიდან კახეთში შეპარული ბაში-აჩუკი

მინისტრების ცვლა გააძლიერებს ქართულ ეკონომიკას?

3

მორიგი სხდომა

ლევან გაბეჩავა

გამართა 7 მაისს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ტრადიციულად საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. განხილულ საკითხთა შორის ჩვენი ყურადღება რამდენიმემ მიიპყრო. მათ შორის ქალაქ სამტრედიაში ერთ-ერთი ცენტრალური, რესპუბლიკის ქუჩისათვის სახელის შეცვლას რომ ეხებოდა. აგრეთვე, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ღია ტიპის სპორტული მოედნისათვის სახელის მინიჭების თაობაზე.

როგორც ცნობილია, ამ დღეებში 80 წლისა შესრულდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ბატონი ზვიად გამსახურდია. თარიღთან დაკავშირებთ ქვეყანასა და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა, ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავყოფასთან რომაა დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბადრი შენგელიამ გამოიტანა საკითხი ქალაქ სამტრედიაში რესპუბლიკის ქუჩისათვის სახელის შეცვლის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ შესაბამისი კანონის თანახმად განიხილა ქალაქ სამტრედიაში რესპუბლიკის ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხი და გადაწყვიტა, **ქალაქ სამტრედიაში რესპუბლიკის ქუჩას შეეცვალოს სახელი და მიენიჭოს (ეწოდოს) ზვიად გამსახურდიას სახელი.** აღინიშნა, რომ საკითხის ირგვლივ არანაირი კითხვები არ არსებობს, რომ შესაბამისმა კომისიამ, თავმჯდომარე ბადრი შენგელიამ, დიდი მუშაობა გასწია, რისთვისაც, კომისიამ, მისმა თავმჯდომარემ და საკრებულოს შემადგენლობამ მადლობა დაიმსახურეს.

ბატონი ზვიად გამსახურდიას ღვაწლის შესახებ ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარის მაოდგილემ, ბატონმა კობა ძიძიგურმა, დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა, ბატონმა ჯონი ნადირაძემ მადლობა უძღვნა საკრებულოს თავმჯდომარეს, სრულ შემადგენლობას საკითხისადმი მხარდაჭერისათვის.

გამსახურდიას ბურუსით მოსილი გარდაცვალების დროული, ობიექტური გამოძიების აუცილებლობაზე ისაუბრა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ თადუმაძემ.

ჩვენს მხრივ დავსძენთ, რომ ნამდვილად იმსახურებს საყოველთაო პატივსა და უკვდავებას მამულისათვის წამებული ერისკაცი.

ამ დღეებში სამტრედიაში სტარტი აიღო ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის **თედო კაკულიას** სახელობის ტურნირმა მინი ფეხბურთში. თედო კაკულია ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი გახლდათ, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, რომ არა მისი სიცოცხლის ტრაგიკული აღსასრული. მუნიციპალიტეტის საკრებულომ შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ გადაწყვიტა, **ქალაქ სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩა №11-ში მდებარე ღია ტიპის სპორტულ მოედანს მიენიჭოს თედო კაკულიას სახელი.**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განიხილა რიგი სხვა საკითხებისა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთა შესახებაც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ბატონმა მერაბ უდრელიძემ, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბადრი შენგელიამ და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა მოახსენეს.

სხდომის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას, რომელმაც განმარტა, რომ საკრებულო წინადადებით მიმართავს შესაბამის სამსახურებს, რათა რესპუბლიკის ქუჩისათვის სახელის შეცვლის გამო შესაბამისობაში მოიყვანონ აუცილებელი დოკუმენტები.

მოქალაქეთა სრულყოფილი ინფორმირებულობისთვის

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ტვირთს წარმოადგენს მედიკამენტების შესაძენად გადახდილი თანხები. ყველაზე მეტად ფინანსური სირთულის წინაშე ქრონიკული დაავადებების მქონე მოქალაქეები დგანან, რამდენადაც მათ მუდმივად უწევთ საჭირო მედიკამენტების შეძენა.

აღნიშნული გამოწვევის დაძლევის მიზნით 2017 წლის ივლისიდან საქართველოს მთავრობამ აამოქმედა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა.

ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის გავრცელებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების ღირებულების მნიშვნელოვანი წილით თანაგადახდას.

პროგრამა მოიცავს 6 სახეობის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 35 დასახელების ყველაზე ხშირად მოხმარებად მედიკამენტს. როგორც გარკვეული კვლევები გვიჩვენებს, მოსახლეობა აფიქსირებს აზრს ჯანდაცვის პროგრამების შესახებ მეტი ინფორმირებულობისა და სახელმწიფოს მხრიდან გაძლიერებული კომუნიკაციის თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გარდა ადგილობრივი თვითმმართველობები ასევე ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობ პროგრამებს.

"სასურველია, მოქალაქეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია ზემო აღნიშნული სახელმწიფო უწყებების მიერ შეთავაზებული სერვისებისა და მათი გამოყენების შესახებ". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ. დავით ბახტაძე ჟურნალისტებს ურჩევს, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ და პროგრამაში ჩართვისათვის საჭირო დეტალური ინფორმაციის მოწოდების მიზნით ხშირად მოამზადონ საგაზეთო პუბლიკაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები: "მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა შესაძლებლობებს სთავაზობს მათ სახელმწიფო, განსაკუთრებით ქრონიკულად დაავადებულებს, მათ ვისაც სისტემატურად ესაჭიროება მედიკამენტები. ამჯერად, მინდა გავამახვილო საზოგადოების

ყურადღება იმაზე, რომ სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ფარავს ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებების 80 პროცენტზე მეტს. დაავადებათა ჩამონათვალშია 6 დაავადება: გულსისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი (ტიპი II), ფილტვის ქრონიკული დაავადებები (მათ შორის ასთმა), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადებები".

რა უნდა იცოდეს და პროგრამაში ჩართვის მიზნით რა პროცედურები უნდა გაიაროს მოქალაქემ, ამის დასაზუსტებლად "სამტრედიის მაცნე"; სოციალური მომსახურების საგენტოს სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ესაუბრა. ნარგიზ კაკაძემ განმარტა, თუ ვინ არის პროგრამის მოსარგებლე და რა რაოდენობის ფასდაკლება ვრცელდება მათზე პროგრამის ფარგლებში: "სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-სს, მედიკამენტს იძენენ სიმბოლურ ფასად 1 ლარად. მედიკამენტის შეძენისას, მინიმუმ, 50 პროცენტიანი ფასდაკლებით სარგებლობენ შემდეგი პირები: მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, შშმ ბავშვები, პარკინსონით და ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქეები. პირველ რიგში, მოქალაქე მიდის ექიმთან, რომელიც მისცემს ფორმა 100-სს, სადაც მითითებულია ის წამლები, რომელიც შედის პროგრამაში. ექიმის ვიზიტის შემდეგ ამ ფორმა 100-ით მოქალაქე მოდის სააგენტოში სპეციალისტ თინათინ დუნდუასთან, რომელიც წარმოდგენილ რეცეპტს ელექტრონულად გადააგზავნის აფთიაქში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ჩვენს ბენეფიციარს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო".

ჰუმანიტარული დახმარება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას ჰუმანიტარული ტვირთი გადასცა. აღნიშნული დახმარება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ კომპანია "ელსივაიკი გე"-სგან მიიღო.

21 669 ლარის ღირებულების ტვირთი მოიცავს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და აქსესუარებს როგორც ზრდასრულებისთვის, ასევე ბავშვებისთვის და განკუთვნილია სოციალურად დაუცველი ადამიანების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

აღნიშნული საჩუქარი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, შეჭირვებულ მოსახლეობას ეტაპობრივად ურიგდება.

ნათია ჯაჯანა
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი

მამარჯვების დღეს მილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

საქართველოში 492, აქედან სამტრედიაში კი, მეორე მსოფლიო ომის მხოლოდ 4 ვეტერანია სახეზე. მათგან ყველაზე ახალგაზრდა 92-ის, სანდაზმული კი 102 წლისაა. ქალბატონია 99.

ისევ მოვიდა 9 მაისი, ფაშიზმზე ძლევამოსილად გამარჯვების 74-ე წლისთავი ზეიმით, პატივით აღინიშნა 9 მაისი სამტრედიაში. ტრადიციულად შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლთან თავი მოიყარეს მუნიციპალიტეტის თავკაცებმა, ახალგაზრდობის, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

გასაგები მიზეზების გამო აქ მხოლოდ ომის ერთი ვეტერანი, 95 წლის ბატონი რევაზ კანდელაკი მობრძანდა სეხნია შვილიშვილის თანხლებით. ამდენად, ყურადღების ცენტრშიც სწორედ ის აღმოჩნდა. უდიდესი პატივითა და სიყვარულით მიულოცეს მას გამარჯვების დღე შეკრებილებმა, მუნიციპალიტეტის თავკაცებმა და მადლობა უთხრეს სამშობლოსა და ერის წინაშე თავგანწირვისათვის. სიხარულის ცრემლი კიაფობდა ბატონი რეზოს თვალზე. ''უდიდესი მადლობა ყველას, ხელისუფლებას ჩვენი ღვაწლის ჯეროვანი დაფასებისათვის. ვწუხვარ, რომ ვეტერანთაგან დღეს აქ მხოლოდ მე შევძელი მოსვლა. გამარჯვების დღეს გილოცავთ''. _ განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' ბატონმა რევაზმა. საუკუნეს მიღწეული ორი ქალბატონი, ორიც მამაკაციღა შემორჩა ერთ დროს მოზეიმე ვეტერანთა არმიისაგან სამტრედიაში.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ თითოეული ვეტერანი 1000 ლარითა და 200 ლარის ღირებულების სასურსათო ამანათით დაასაჩუქრა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ კი თითოეულს 600 ლარი გადასცა.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე, ზვიად შალამბერიძე, მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოთხივე ვეტერანს შინ ესტუმრნენ და პირადად მიულოცეს გამარჯვების დღე.

სამამულო ომის ერთი საბრძოლო ეპიზოდი

ბატონი დავით ჩაჩავას საბრძოლო ისტორია დიდ სამამულო ომში (1941-1945 წ.წ.) ასეთია. ის თვრამეტი წლის გაიწვიეს აბაშის რაიონიდან, როცა სამამულო ომი დაიწყო. დღესაც ნათლად მახსოვს, იგონებდა ბატონი დავითი, 1941 წლის 22 ივნისის დილის 5 საათზე, ამხანაგ სტალინი გულმხურვალე სიტყვებით მიმართავდა მთელ საბჭოთა ხალხს. 1942 წლის ახალ წელს, ამხანაგები ერთმანეთს ვულოცავდით კასპიის ზღვის სანაპირო ქ. კრასნოვოდში, შემდეგ მალე გავგამგზავრეს ქალაქ ვლადივოსტოკში, იმავე წელს გადმოგვიყვანეს მოსკოვის გარეუბანში ქ. ვლადიმირში. ბრძოლებით განვვლე მთელი საბჭოეთის მიწა-წყალი, ვიბრძოდი ქ. მინსკის წითელდროშოვან დივიზიაში. ბელორუსიაში ძმები დამეღუპნენ, უფროსი ძმა გრიშა უგზო-უკვლოდ ბელორუსიის 1-ლ ფრონტზე დავკარგე, უმცროსი ძმა ილუშა 1947 წელს 19 ნოემბერს, ჩემი დემობილიზაციაში ყოფნის დროს, ლიტვის მიწაზე დაიღუპა, როგორც თავდადებული პატრიოტი და სამაგალითო საბჭოთა ჯარისკაცი. გმირობამდე ერთი ნაბიჯი აშორებდა. ფრონტიდან ჩამოვედი 1945 წლის დეკემბრის ბოლოს, დემობილიზაციით, როგორც სამი ჭრილობის მქონე. ჩამოვედი მკერდამშვენებული ორდენებით და მედლებით, მაგრამ, რა საკვირველია, ჯანმრთელობის მხრივ უნარმოკლებული, სამამულო ომის მე-2 ჯგუფის ინვალიდი, კვლავ ჩავები მშვიდობიანი შრომის ფერხულში, ძმებიდან მხოლოდ მე დავრჩი ცოცხალი.

ბელორუსიის 1-ლ ფრონტზე ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ტყვია მოხვდა მარჯვენა მკერდის უბის წიგნაკს და სასწაულად გადავრჩი, სასიკვდილო ჭრილობით: ''ახლაც სამახსოვროდ ვინახავ, იმ გახვრეტილ მწვანე გერმანულ უბის წიგნაკს''.

აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნიდან, დაიწყო ჩემი და ჩემი ძმების საბრძოლო ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება მშვიდობიან საბჭოთა კავშირში. მე ვუსურვებ, ჩვენს ახალგაზრდა თაობებს, უღრუბლო მშვიდობიან ცას, რადგან არაფერია მშვიდობის ფასი მთელ დედამიწაზე ადამიანებისთვის მათი ბედნიერი ურთიერთობებისთვის, სიცოცხლისთვის''. _ წერდა ბატონი დავითი სამამულო ომის ვეტერანი, საბრძოლო ეპიზოდების აღწერისას ერთ-ერთ წერილში.

მერაბ ჩაჩავა

მინისტრების ცვლა გააძლიერებს ქართულ ეკონომიკას?

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლავ ახალი მინისტრი ჰყავს.

რა დააშავა ძველმა და რას გაკეთებს ახალი?

აი, არარიტორიკული კითხვა, ალბათ, ყველა მოაზროვნე ადამიანს, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს რომ აინტერესებს, აფიქრებს, აწვალებს...

როცა რიგ რეგიონებში, მუნიციპალიტეტებში ერთი მცირე საწარმოც კი არ ამოქმედებულა, როცა ხალხის ცხოვრების დონე ისევ დაბალია, როცა უიმედობამ მოიცვა ისინიც კი, ხვალის იმედით რომ ცხოვრობდნენ... ყოველგვარ ეკონომიკურ წინსვლაზე საუბარი ზედმეტია.

ვითარებას არ ვამძაფრებთ, რეალურს მოგახსენებთ. იქამდე მივიდა საქმე, რომ ქართველ მინისტრებს მეგობარ სახელმწიფოებში უწევთ მტკიცება, საქართველოში საქმე კარგადაა და ქართველ ემიგრანტებს ნუ მიიღებთო, ეს მაშინ, როცა ქართულ რეალობას გაქცეულ-გარიდებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები საფრანგეთსა და გერმანიაში გაიხიზნენ დედაწულიანად და ღამეს ქუჩებში ათევენ.

შეიცვლება თუ არა სამთავრობო გუნდი?

რომელი მინისტრი დაემშვიდობება თანამდებობას?

ვისმენთ ტელევიზორიდან, ვკითხულობთ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში.

წუთით წარმოვიდგინოთ თავი მთავრობის წევრთა ადგილზე, შეძლებს ესა თუ ის მინისტრი უფლებამოსილება გულიანად აღასრულოს მაშინ, როცა არ იცის როდის ეტყვიან ნახვამდის, საკმარისიაო და როდის გადააბრძანებენ გორგოლაჭებიანი სავარძლიდან.

***

აქამდე ერთი კატეგორიის ახალგაზრდები იყვნენ საშიშნი, ძირითადად, ახალგაზრდები გვევლინებოდნენ კრიმინალურ ქმედებათა ავტორებად, ამჯერად კი 85 წლის მამაკაცმა ''მოხსნა რეკორდი'' და ოთხი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს? რას ვაკეთებთ ამ დროს ჩვენ, საზოგადოება?

ხელისუფლება?

სამართალდამცავები?

სახელმწიფო სახელმწიფოს რომ დაემსგავსოს, წელში გაიმართოს ხალხი, საამისოდ ეროვნული ეკონომიკა, წარმოება უნდა აღორძინდესო, ამ აზრს ავითარებს მის ნაწერებში, ლამის, საუკუნე-ნახევრის წინ დიდი ერისკაცი, ნიკო ნიკოლაძე. პარიზის ჰავანაყლაპმა, იქაური ცხოვრების რიტმს ნაზიარებმა მამულიშვილმა ბევრი ევროპული სიახლე გადმოიტანა საქართველოში, მაგრამ... მაგრამ აღესრულა დიდი ნიკო ნიკოლაძე და დარჩა მისი გონივრული ნაზრევი.

ვაგლახ, არ გამოჩნდა საქართველოში მის შემდეგ მეორე ნიკო ნიკოლაძე. ასე იმსხვრევიან წლები, ათწლეულები. ასე დარჩა ქართული სოფლები და უკვე ქალაქებიც მოხუცების ამარა.

...

როდემდე, როდემდე უნდა ვიცხოვროთ უკეთესი ხვალის მოლოდინში?

როდემდე უნდა ეშინოდეს ქართველ კაცს დილის გათენება იმის ფიქრში, როგორ გაანაწილოს მიზერული ხელფასი და პენსია გადასახადებში, მედიკამენტებზე, მტერსა და მოყვარეზე, კვებაზე... დასვენება, აგარაკები რა მოსატანია, ეს ფუფუნება მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისათათვისაა განკუთვნილი და არა ჩვენისთანა უბრალო ხალხისათვის.

სხვა გზა არაა, მოთმინების ფიალაავსებულნი ველოდებით, რას მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, რამდენად იგრძნობს ჩვენი ჯიბე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალი მინისტრის მიერ განხორციელებულ კეთილ საქმეთა კეთილმყოფელ გავლენას.

ლევან გაბეჩავა

ვულოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს!

სამტრედიის ვეტერანთა კავშირის სახელით, აპოლონ ხაჟალია და ავთანდილ კაშია, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ულოცავენ ჩვენი რაიონის სახელოვან მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ვეტერანებს, ბატონ რევაზ კანდელაკს, ქალბატონ ანნა თავაძეს, ბატონებს ალექსანდრე ჯულაყიძეს და გრიგოლ ჩაჩუას უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

წმინდა მოციქული ანდრია

სულიწმიდის მოფენის შემდეგ, ქრისტეს მოწაფეებმა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმა გაიყვეს ქვეყნები საქადაგებლად. ღვთისმშობელს წილად საქართველო ხვდა და ამიტომ ჩვენს ქვეყანას ღვთისმშობლის წილხვდომილს უწოდებენ.

საქართველოში სურდა წმინდა მარიამს წამოსვლა საქადაგებლად, მაგრამ, რადგან მოახლოებული იყო დრო მისი მიძინებისა, ქრისტეს ბრძანებით, რომელიც მას გამოეცხადა, ეს საქმე ანდრია მოციქულს მიანდო, რომელსაც პირველწოდებული ჰქვია.

მოციქულმა ანდრიამ სიმონ კანანელი თან იახლა და წამოვიდა საქართველოში, შემოიარა ჭანეთი, ტრაპიზონი, კლარჯეთი, გადმოვიდა ახალციხეში და შეჩერდა აწყურში. პირველწოდებული ყველგან ქრისტეს რჯულს ქადაგებდა და კერპთაყვანისმცემელ ქართველებს ნათელს სცემდა. შემდეგ ამისა მოციქული იერუსალიმს დაბრუნდა, რათა დასწრებოდა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს. იქედან დაბრუნებულმა მოციქულმა სამეგრელო და აფხაზეთი, შემდეგ კი სვანეთი შემოიარა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი ქადაგება აფხაზეთსა და სამეგრელოში, აქ მასობრივად იწყო ხალხმა ნათლობა. გარკვეულ წინააღმდეგობას მოციქული ჩერქეზეთში წააწყდა, სადაც მოკვლაც კი დაუპირეს.

ოსეთშიც იქადაგა ქრისტეს რჯული მოციქულმა, აქაც ნაყოფი გამოიღო მისმა ღვაწლმა...

ასე რომ, საქართველოში ქრისტიანობას საფუძველი წმინდა ანდრია მოციქულმა დასდო.

წელიწადში ორჯერ, 12 მაისსა და 13 დეკემბერს აღნიშნავენ ანდრიობას საქართველოში.

აუცილებელია ითქვას რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2000 წლიდან ფუნქციონირებს წმინდა ანდრია პირველწოდებულის დედათა მონასტერი. საოცარ სითბოს, ქრისტესმიერ სიყვარულს განაცდევინებს მორწმუნე მრევლს მონასტერში მოღვაწე დედა სოფიოსთან, დედა ქეთევანთან და დედა ელისაბედთან ყოველი შეხვედრა.

შესაბამისი ღვთისმსახურეობა აღევლინება ანდრიობას მოქმედ ტაძრებში.

ლევან გაბეჩავა

დავეხმაროთ დედამიწას, გახდეს უფრო მწვანე

ინგლისური ენის VII კლასის სახელმძღვანელოში ერთ-ერთ საკითხად მოცემულია თემა "ჩვენი პლანეტა", რაც მოიაზრებს დედამიწის მცხოვრებლების ვალდებულებებს ჩვენი პლანეტის წინაშე. მისი ეკოლოგიური კეთილდღეობისთვის გასაწევ ყოველდღიურ საქმიანობებს შორის დასახელებული იყო გარემოზე ზრუნვა და დასუფთავება.

ღანირის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებს თემის დამუშავების შემდეგ სურვილი გაუჩნდათ, დედამიწის საერთაშორისო დღეს, 22 აპრილს, სიმბოლური წვლილი შეეტანათ გარემოს დასუფთავებაში. დაგეგმეს დასუფთავების აქცია. დაამზადეს მაისურზე დასაკრავი წარწერები "We Are Green". ამავე დროს აღნიშნული აქციით გამოეხმაურნენ გადაცემა "იმედის დილის" გამოწვევას "დაასუფთავე გარემო _ გამოიწვიე მეგობარი".

22 აპრილს, საპატიო მიზეზის გამო, აქცია ვერ ჩატარდა, თუმცა, 7-8 მაისს წარმატებით განხორციელდა. აქციას შემოუერთდნენ ამავე სკოლის Vკლასის მოსწავლეები და მათი დამრიგებელი ლიანა არუსია, VII კლასის ხელმძღვანელი ხათუნა გალდავა, ღანირის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ლეილა ომანაძე და მერის წარმომადგენლები ღანირის თემში.

აქციის ფარგლებში დასუფთავდა სკოლისა და კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიები, მოსაცდელი, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის ეზო. ასევე მემორიალის ეზოში V კლასის მოსწავლეებმა დარგეს ყვავილები.

ღანირის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებს აღნიშნული აქციის გარდა ინგლისური ენის პედაგოგის, ქეთევან დარსალიას ხელმძღვანელობით დაგეგმილი აქვთ სკოლაში კედლის გაზეთის გაკეთება სახელწოდებით "be Green, Save the planet", სადაც დეტალურად ახსნიან მოსწავლეები, როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ყოველდღიური მოქმედებებით პლანეტაზე.

ღანირის საჯარო სკოლა გადაცემა "იმედის დილის" მსგავსად გამოწვევას უგზავნის სამტრედიაში არსებულ სკოლებს იზრუნონ გარემოზე. ვნახოთ, ვინ გამოეხმაურება ამ გამოწვევას _ "იყავი მწვანე! იზრუნე გარემოზე!"

ქეთევან დარსალია

ღანირის საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი

თამარ, ქართველთა სულისდგმავ, თამარ, ქართველთა დედაო...

საუკუნეები გვაშორებს თამარ მეფის ეპოქასთან, თუმცა, მისი სახელი კვლავაც უძვირფასესია ქართველი ერისათვის.

"გარნა ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან. ურჩნი თვისნი დაამდაბლა და მოყვარენი აღამაღლნა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელი და მეორეთა დამწველი". _ წერდა თამარის შესახებ **ბასილი ეზოსმოძღვარი**.

.

"ქრისტე ღმერთო ჩემო, მხოლოო დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქვეყანისაო! შენ შეგავედრებ სამეფოთა ამას, რომელიც შენ მიერ მერწმუნა და ერსა, ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა".

აი, ეს სიტყვები წარმოთქვა დამაშვრალმა, სიცოცხლეშივე ხალხთაგან განდიდებულმა მეფემ და მიიძინა სამუდამოდ.

წმინდანთა დასში ჩარიცხა საქართველოს ეკლესიამ თამარ დედოფალი და 14 მაისს იხსენებს მას.

ლევან გაბეჩავა

და საქართველო ლოცავდა ქუთაისის ქუთაისობას

თეა ბაბუნაშვილი

ორ მაისს გვირილობდა ქუთაისი. საუკუნის წინანდელი გამოძახილით საღღეგრძელოდ ამბობდა აიადან ქუთაისამდე სიყვარულისა და კაცურკაცობის ფუნჯით მოხატული ქალაქის ამბავს. ვინ იფიქრებდა, რომ გიმნაზისტი გოგონების მცდელობა, ჭლექით დაავადებულთა დასახმარებლად, ასწლეულის შემდეგ, არა მხოლოდ ქუთაისის, მოლიანად იმერეთის დღესასწაულად იქცეოდა. ორმაისობდა ქუთაისი და მუხრანის ტყის ჩრდილებში ჩაკარგული გაშლილი სუფრებით მასპინძლობდა სტუმრებს იმერეთი. ღვინით სავსე ფიალით ლოცავდნენ მთელ იმერეთსა და მის ბუდეში ჩასმულ მარგალიტს, ქუთაისს, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსულები.

წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოწყობილი სანახაობა შთამბეჭდავი გახლდათ. კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე აღნიშნავდა, რომ გარკვეული სიახლეები შეიტანეს სტანდარტულად ქცეულ სცენარში. და საერთოდ, ცდილობენ, ყოველ წელს განსხვავებული პროგრამით წარადგინონ სამტრედია დამთვალიერებლების წინაშე. წელს ძირითადი სიახლე ტურიზმის განვითარების პროგრამაში ჩასართავად შექმნილი ბანერები და საინფორმაციო ბუკლეტები გახლდათ, რომლის მეშვეობითაც იმ დღეს ბევრი ტურისტი დაინტერესდა სამტრედიის მუნიციპალიტეტით.

გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო სამტრედიელი მხატვრებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული თვითნასწავლი შემოქმედების ნამუშევრები, ფერწერულ ტილოებთან ერთად ნაქსოვი, თექასა და მეტლახზე შესრულებული ხელთნაკეთი ნივთების, ხალხური რეწვის ნიმუშები გამოიფინა. შორენა გვირჯიშვილი და ნანა ვაშაკიძე საკუთარი ნამუშევრებით იწონებდნენ თავს. სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ლანა კვანჭიანი და ანა ხაჟომია პედაგოგ ქრისტინე გიგინეიშვილთან ერთად საადგომო კვერცხების მოხატვით იყვნენ დაკავებული. საკუთარი ნაქსოვი და ნაქარგი ნამუშევრები ლევან პაიჭაძემ წარმოადგინა. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ, ახალი კვირის პირველივე დღეებში, ბუნებრივია, საადგომო პასქისა და წითელი კვერცხის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახლდათ. მოსწავლეახალგაზრდობის სახლის სახელით გაშლილ სუფრას, რომლის მთავარი თემაც აღდგომა გახლდათ, როგორც გასულ წლებში, წელსაც არ აკლდა მომხიბვლელობა და ორიგინალურობა.

საკუთარ მოსაყოლს ჰყვებოდა არღანი. სპორტულ ღონისძიებებში პირველობდნენ ჩვენებური ფალავნები, სცენაზე სიმღერად იღვრებოდნენ ბექა თევზაძე და ლეილუკა რუხაძე. იმერული ოჯახის სტუმართმასპინძლობის სცენა გაითამაშეს მსახიობებმა, ეროსი მანჯგალაძის სახელობის სამტრედიის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თამაზ გოგიშვილმა და მაია ამაღლობელმა. იმერული ცეკვით მიემ ზვიად შალამბერიძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა. სამტრედიულ სუფრასა და კუთხეს მრავლად ჰყავდა დაინტერესებული და აღფრთოვანებული ტურისტები.

“ძალიან სასიამოვნო და ყოველ წელს კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება გვირილობის დღესასწაულის ტრადიციის აღდგენა. იგი არა მხოლოდ ქუთაისის, იმერეთის დღესასწაულადაც იქცა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ სხვა არაერთ ლამაზ ღონისძიებასთან ერთად, თავისი სავიზიტო ბარათით, გაშლილი სუფრით ხვდება მას იმერეთი. სხვადასხვა სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები ამ დღის განუყრელი ნაწილია. სამტრედიის გარეშე ეს ყველაფერი როგორ ჩაივლიდა და ჩვენც განსაკუთრებული მონდომებით ვართ ჩართული ამ ღონისძიებაში.” _ აღნიშნა სამტრედიის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ. მან იქვე იმასაც გასვა ხაზი, რომ “მოსახლეობის მოთხოვნაცაა, სამტრედიელობის დღესასწაული ინტენსიურად აღინიშნოს. გასულ წელს საპარლამენტო არჩევნების გამო გადაიდო მისი აღნიშვნა, წინასაარჩევნოდ გადამეტებულ პოლიტიკურ მცდელობად რომ არ მოენათლათ. ამიერიდან ეს ტრადიცია აუცილებლად აღდგება. კეთილი სურვილები უხვად ჰქონდა ქუთაისისა და სრულიად იმერეთისთვის მერის მოადგილეს, დავით ბახტაძეს: “იმერეთს და განსაკუთრებით ქუთაისს ვულოცავ ორმაისობას. ვულოცავ ყველა იმ ადამიანს, ამ ქალაქის ბედით რომ არის დაინტერესებული და ეამაყება იგი. აყვავებული ქუთაისი და იმერეთი ძლიერი საქართველოს საწინდარია და ვისურვებდი ეზეიმებოდეს ქუთაისს და ეზეიმებოდეს საქართველოს! სამტრედია წელს რამდენადმე განსხვავებული რაკურსითაა წარმოდგენილი. ვეცადეთ და ვფიქრობ, გამოგვივიდა, ჩვენი მუნიციპალიტეტი უფრო თვალსაჩინოდ გაგვეცნო დამთვალიერებლებისა და ტურისტებისათვის.” საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია აუცილებლობადაც მიიჩნევს მსგავსი თარიღების აღნიშვნას, რადგან: “განსაკუთრებული ურთიერთსიყვარული ახლავს ასეთ დღეებსა და თარიღებს. საუკეთესო ახალი ამბების სამრავლე მინდა ვუსურვო იმერეთსა და იმერლებს, ქუთაისსა და ქუთაისლებს. ბევრი სადღესასწაულო 2 მაისი დაებედოს ჩვენს საყვარელ ქალაქს!”

სამტრედიელების ნამუშევრებით დაინტერესდნენ და გაშლილ სუფრასთან ღვინოს გემო ქართული სადღეგრძელოთი გაუსინჯეს იმერეთის რწმუნებულის პირველმა მოადგილემ.

მუხების ჩრდილში ჩაკარგული ქუთაისობდა ქუთაისი. სიყვარულად იღვრებოდა იმერლობა და კიდევ ერთი წელი წარსულად ემატებოდა ათასწლოვან წარსულს, საიდანაც ქართველობის და გმირობის ამბებს შერეული თანამედროვეობის პოზიტივ-ნეგატივის ხმები ისმოდა. ვის თმაში ჩაეწნა, ვის კალათებით დაჰქონდა გულყვითელა გვირილები, საუკუნის წინ თანადგომის და სიყვარულის მთავარ სიმბოლოდ რომ აქციეს ქუთაისში გიმნაზისტმა გოგონებმა.

... და იმერეთი ლოცავდა და საქართველო ლოცავდა ქუთაისის ქუთაისობას!

ლაგვიანებული ცამეტიმესი ჩემს ბებიას _ ცოლომე ცეტრაოს

მთელი ცხოვრება ელოდა, ომიდან შვილებს ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილების დაბრუნებას. გენეტიკურ ტკივილად გადმოგვეცა ამბები, რომელსაც ოჯახის არქივი ინახავს. მეც, სწორედ ამ ხსოვნის პატივსაცემად ვინახავ ამ პირტიტველა ბიჭების ფოტოებს და ისტორიებს... ძმები ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ. ალექსანდრე არტილერისტი იყო, გრიგოლი _ მფრინავი. ისინი 1939 წლის 18 ნოემბერს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში სამტრედიის სამხედრო კომისარიატიდან. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ამ ახალგაზრდებს (ალექსანდრე 19 წლის იყო, გრიგოლი _ 21 წლის) თავს საშინელი, იმ დროისათვის არნახული, გაუგონარი სისასტიკის ომის ქარტეხილი დაატყდებოდათ. კარგი შვილების აღზრდისთვის მშობლებმა მრავალჯერ მიიღეს მადლობა იმ სამხედრო ნაწილის მეთაურისგან, სადაც ისინი პირნათლად იხდიდნენ ვალს (მაშინ სამი წელი იყო სამხედრო სამსახური, ამასობაში ომმა მოუსწრო ბიჭებს.

1941 წელს ივნისის მიწურულს, ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 700 000 მეომრიდან, რომელიც საქართველომ ომში გააგზავნა, ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა, მათ შორის ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები.

უმცროსი შვილის ალექსანდრეს წერილები ომის დაწყების დღიდანვე შეწყდა. იგი ბელორუსიის ქალაქ გროდნოს პირველ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

უფროსმა, გრიგოლმა, ქალაქ ლვოვში მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. სამი თვის მანძილზე იგერიებდა მტრის მრისხანე შემოტევებს. შემდეგ გამოიყვანეს ფრონტის წინა ხაზიდან და გორკის ოლქში დაამთავრებინეს სახელდახელოდ შექმნილი საავიაციო საფრენოსნო სკოლა, რის შემდეგაც იგი ისევ ფრონტს დაუბრუნდა, ამჟამად არა შაშხანით ხელში, არამედ ბომბდამშენი თვითმფრინავით. 1942 წლის 3 აპრილს ოჯახში წერილი გამოაგზავნა, როცა პირველი გაფრენისთვის ემზადებოდა. მან 24-ჯერ შეძლო მტრის ზურგის განლაგების საჰაერო ჯგუფური დაბომბვა. 25-ე საბედისწერო აღმოჩნდა. 1942 წლის აგვისტოდან წერილები შეწყდა. დადარდიანდა ოთხი ვაჟის დედა, მამა, ოჯახი, სახლში დარჩენილი კიდევ ორი ვაჟი.

1945 წლის 9 მაისს ომი დამთავრდა, როგორც ბევრი დედა, ბებიაჩემიც _ სალომე სტურუა ამაოდ ელოდა შვილებს _ ალექსანდრე და გრიგოლს. თუმცა, ბიჭების მამამ კონსტანტინე ლეკვეიშვილმა იცოდა და ჩუმად ინახავდა კომისარიატიდან მიღებულ ცნობას შვილების უგზოუკვლოდ დაღუპვის შესახებ.

ქალაქი და სოფელი არ დარჩენილა საქართველოში, ახლობელი ან ოჯახის წევრი არ დაღუპვოდა ომში. სოფელ იანეთში მე-5 უბანში შინმოუსვლელთა ხსოვნის მემორიალზე ძმების ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილების ფოტოებიც არის. უმცროს ძმებს სერგოს და გივი ლეკვეიშვილებს მთელი ცხოვრება სტანჯავდათ შინმოუსვლელი ძმების ბედი. უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა დრეზდენის არქივშიც მოვიძიე. თითქოს მთელი ომის ქარტეხილი ჩემს ოჯახს დაატყდა თავს. სამი ვაჟკაცი შეიწირა დიდმა სამამულო ომმა: მამის ძმები ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები და დედაჩემის მამა _ მოსე ნაკაიძე. იგი 25 წლის იყო, რიგითი ჯარისკაცი, როცა დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. 1942 წლის ოქტომბერში ცნობა მოვიდა სამხედრო კომისარიატიდან მისი უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ... ღიმილის ბიჭები _ ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები! ახლახან კი, როცა გაიხსნა საბჭოთა ტყვეების არქივები და სიები ინტერნეტში გამოქვეყნდა, კვალს მაინც ვერ მივაგენი. 9 მაისი გერმანელ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა, ბიჭები სამშობლოსთვის დაიღუპნენ. სამშობლოს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს...

9 მაისი ფაშიზმზე _ ბენიტო მუსოლინის და ადოლფ ჰიტლერზე გამარჯვების დღეა!

სამწუხაროდ, ფაშიზმი ისევ მძვინვარებს. ამის მაგალითია ჩვენი დაკარგული ტერიტორიები, როცა დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს მაშინ, მართლა ვიზეიმებთ ფაშიზმზე გამარჯვებას! დღეს პატივს მივაგებთ იმ ათი ათასობით ჩემს თანამემამულეს, ბიძაჩემების ჩათვლით, ვინც დაიღუპა ეგრეთ წოდებულ სამამულო ომში...

“აჯანყდა და მტერი ხოცა,
ბინად ჰქონდა სანგარი,
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა
შვილი დასაკარგავი!”

მარადიული დიდება სამამულო ომის ქართველ გმირებს!

დიახ, მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე და საკუთარ ბუნაგში გაცამტვერებული “ათასწლოვანი რაიხის” დედაქალაქის თავზე გამარჯვების დროშა რუსთან ერთად აუცილებლად ქართველს, გენერალისიმუსი სტალინის თანამემამულეს უნდა აეფრიალებინა!

და ამით ყველაფერია ნათქვამი!

მარადიული დიდება კაცობრიობის ნაცისტური ჭირისგან მხსნელი ქართველი ვაჟკაცების ხსოვნას. ქართველმა გმირებმა, აკი, მსოფლიოსთან ერთად, საქართველო და ქართველი ერიც გადაარჩინეს. მათი დავიწყების უფლება არ გვაქვს. ჩვენი გმირი წინაპრები. მაისის თვე რომ დადგება, ყოველ წელიწადს მოსვენებას არ მაძლევს 9 მაისი. სულ ვეძებ ინტერნეტში ჩემნაირ ოჯახებს. მათი განცდები, ჩანაწერები მაინტერესებს...

“კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი!” ორი ძმის გივი და სერგო ლეკვეიშვილების მონაგარი, ჩემი და ჩემი დისშვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ საქართველოს ისტორიას.

აი ისინიც: დავითი და თამარი, ნიკოლოზი, ანდრია, ნუცა. ლაშა და ლიკა, ალექსანდრე. გიორგი და თემურ, თეკლა, სანდრო, საბა.

დაე, იარონ, იარონ! ამინ!..

ლელა ლეკვეიშვილი

საქართველოს ზორეული ახლობელი მარჯორი უორდროპი

“უორდროპი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც კი, თუმცა ამ ტანადს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვს ქალს დიდი ცოდნა აქვს, ცოდნა საკუთარის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. მაგალითებრ, ქართული ენა ლიტოგრაფიაში დაბეჭდილ ქართული გრამატიკით ისწავლა, ისე, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ გაუგონია, მხოლოდ ქართულს სახარებით კითხულობდა. წარმოიდგინეთ, რამდენი მეცადინეობა და გულმოდგინება უნდა გამოეჩინა...” _ წერდა 1894 წელს გაზეთ “ივერიის” ლონდონელი კორესპონდენტი.

მარჯორი სკოტ უორდროპი 1869 წელს ლონდონში დაიბადა. შესანიშნავი განათლება მიიღო. ფლობდა 6 უცხო ენას. იგი 1894 წელს საქართველოში ჩამოდის, ბევრს მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ახლოს ეცნობა ქართულ სინამდვილეს, ქართველ ხალხს, მათ ზნე-ჩვეულებებს, კულტურას, უმეგობრდება ქართულ ინტელიგენციას. ინგლისში დაბრუნების შემდეგ კი წერს შთაბეჭდილებებს საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

თითქმის თვრამეტი წელი დასჭირდა უორდროპს “ვეფხისტყაოსნის” თარგმნაზე, ოფიციალურად, მან ეს საქმე 1891 წელს დაიწყო. 1896 წელს მარჯორი კვლავ ეწვია საქართველოს, ამჯერად მშობლების თანხლებით.

განსაკუთრებით ახლობლობდა მარჯორი ილია ჭავჭავაძის მეუღლესთან, ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძესთან. დაცული წერილები მეტყველებენ ამაზე.

მთელი ცხოვრება უორდროპმა ქართული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციასა და ქართულ-ინგლისური ხალხების დაახლოებას შესწირა.

1909 წელს 40 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული ინგლისელი ქალბატონი. ქართული პრესა, ინტელიგენცია დაამწუხრა ამ ცნობამ და მრავალი თბილი წერილიც გაჩნდა ქართულ პერიოდიკაში.

აკაკი წერეთლის ლექსით “მარჯორი უორდროპის სახსოვარი” დავასრულებთ წერილს:

“მაგრამ მაინც ამ ბნელიდან,/ მზის ციაგად მოგვფენს ნათელს,/ და მიტომაც საქართველო/ არ ივიწყებს იმის სახელს”.

150 წელი სრულდება უორდროპის დაბადებიდან.

ლევან გაბაჩავა

ოჯახის ყველა წევრმა შვიდივე წიგნი ზეპირად იცის

ნათია ნაცვლიშვილი

იოანე მახარაძე პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. მას ინტელექტუალური თამაშების ჩემპიონატებზე ხშირად ვხედავთ, აქტიურად მონაწილეობს ყველა პროექტში, რომელიც ცოდნა-განათლებას უკავშირდება. რედაქციაში წიგნების თემაზე სასაუბროდ რომ მოვიწვიეთ, მძიმე ჩანთით გვესტუმრა. შევპირდი, რომ ეს დეტალი ინტერვიუში უთუოდ გაიჟღერებდა. იოანესთვის ყველაზე კომფორტული სწორედ წიგნებზე საუბარია. მის წიგნიერებაში ეს ინტერვიუც დავარწმუნებთ.

_ წიგნი შენთვის რა ფენომენია, რა დატვირთვა აქვს?

_ ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ ადამიანი წიგნის წაკითხვის მერე იცვლება, ნებისმიერი წიგნის წაკითხვის შემდეგ ვხდებით უფრო მომზადებულნი პრობლემებთან გასამკლავებლად.

_ შენი თაობისათვის რაა მოდური საკითხავი?

_ პირადად ვარჩევ წასაკითხ წიგნებს, ჟანრის მიხედვით: პოპულარული ჩემს თაობაში უფრო მეტად ბესტსელერია და ბავშვები, რატომღაც, არ კითხულობენ ქართულ კლასიკას, რაც, ვფიქრობ, ჩემი თაობის ერთ-ერთი მინუსია. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნი სწორედ თანამედროვე ეპოქაშია დაწერილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვიკითხოთ კლასიკოსი მწერლების წიგნები.

_ დაგვისახელე საყვარელი წიგნები...

_ პირველ რიგში, ჯოან როულინგის "ჰარი პოტერი", ძალიან გაუმართლებლად მივიჩნევ მოსაზრებას, თითქოს ჰარი პოტერი მხოლოდ საბავშვო ნაწარმოებია. ვიტყოდი, რომ ჰარი პოტერი ის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელმაც 21-ე საუკუნეში შეძლო, ბავშვები წიგნთან მიეყვანა. ძალიან მიყვარს ლევ ტოლსტოის "ანა კარენინა". პირველი სქელტანიანი წიგნი მეოთხე კლასში წავიკითხე, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს "ბიძია თომას ქოხი".

_ თუ არის თანამედროვე პოპულარული წიგნი, რომელიც წაიკითხე და განხიბლული დარჩი...

_ ასეთია დაშნერის "ლაბირინთში მორბენალი." ამ წიგნმა საერთოდ არ მიმიზიდა, მეათე-მეთხუთმეტე გვერდზე კითხვა შევწყვიტე. თანამედროვეთაგან მომწონს აკა მორჩილაძის შემოქმედება. გამოვარჩევდი მის ნაწარმოებს "მოგზაურობა ყარაბახში".

_ პოეზიასთან როგორი ურთიერთობა გაქვს, ლექსები ბაბუის, მსახიობ გია სტურუას გავლენით გეცოდინება მაინც, თუ არ გეყვარება...

_ ძალიან მიყვარს ქართული პოეზია, გამოვარჩევდი გალაკტიონს, ტერენტი გრანელს და ანა კალანდაძეს. სწორედ ტერენტი გრანელს ეკუთვნის ჩემი ფავორიტი ლექსი ქართულ პოეზიაში "მემენტო მორი", გალაკტიონის ლექსებიდან "მთაწმინდის მთვარე" და "ლურჯა ცხენები." ანა კალანდაძის

შემოქმედებიდან კი _ ლექსს "კალანდა" მთელი თავისი უბრალოებით.

_ ახალგაზრდა პოეტებში ვის გამოარჩევ? ძალიან ხშირად "რა? სად? როდის?" თამაშებში ერეკლე დეისაძის და სხვა ახალგაზრდა პოეტების ლექსებიდან ციტატები გვხვდება...

_ პირადად მე ახალგაზრდა პოეტების ლექსებით არ ვარ მოხიბლული. რაც შეეხება შეკითხვას, მსგავსი კითხვები ინტელექტუალურ თამაშებში მცირე პრობლემებს მიქმნის, თუმცა, გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, ლოგიკურად სწორ პასუხამდე მაინც მივდივართ.

_ ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე ზრუნავ?

_ რა თქმა უნდა, ვზრუნავ, ჩემი ოჯახის დახმარებით. ყველაზე მეტ წიგნს დედაჩემი ყიდულობს, ბებია-ბაბუის და მამაჩემის შეძენილი წიგნები ბევრი გვაქვს, მაგალითად, 50 წიგნეული.

_ სამაგიდო წიგნი?

_ ეს "ვეფხისტყაოსანია" და "დიდოსტატის მარჯვენა", კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებიდან ასევე განსაკუთრებით გამოვარჩევდი "დიდ იოსებს", იგი ყველა ისტორიულ წყაროზე უკეთ აღწერს საქართველოს გასაბჭოებას.

_ გამორჩეულად რომელი ქართველი მწერალი გიყვარს?

_ უდავოდ ილია ჭავჭავაძე, მისი შემოქმედება მთლიანად ორიენტირებულია იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ პრობლემებზე. განსაკუთრებით მომწონს "კაცია ადამიანი" და "ოთარაანთ ქვრივი". მიყვარს ჯემალ ქარჩხაძე. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ციტატა არის ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის "იგის" დასასრულს ნათქვამი: "იგისაგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო", ანუ ის გულისხმობდა, ადამიანი სინამდვილეში დარჩა ის, რაც ის რეალურად იყო.

_ უწიგნოდ ჩავლილ დღეს იხსენებ?

_ თუ მხატვრული ლიტერატურა იგულისხმება, რასაკვირველია, სასკოლო დატვირთვიდანაა გამომდინარე.

_ შენს ირგვლივ მეგობრები რა ღირებულებებით ერთიანდებიან?

_ ამ შემთხვევაში შეიძლება განათლებასა და ნაკითხობას არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩემი მეგობრები არიან ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები, რომელთა მთავარი ფასეულობა მეგობრობა და ერთგულებაა.

_ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე პედაგოგს და შენ გაგიცვლიათ აზრები წაკითხულ წიგნზე?

_ რა თქმა უნდა, თითქმის ყველა წაკითხული წიგნის შემდეგ მის შესახებ ხშირად ვესაუბრები ჩემს ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგს, ეკა შვანგირაძეს. შეიძლება, იმ წიგნში მას ჰქონდეს მიგნებული ისეთი დეტალები, რომლებიც ჩემთვის მანამდე იყო უცხო და შეუმჩნეველი.

_ საყვარელი პერსონაჟის შესახებ ვისთან გისაუბრია?

_ ჩემი საყვარელი პერსონაჟები, ძირითადად, არიან როულინგის გმირები, განსაკუთრებით სამი პროფესორი: ჰოგვორტსის დირექტორი, ალბუს დამბლდორი, ტრანსფიგურაციის პროფესორი, მინერვა მაკგონაგელი და სევერუს სნეიპი. სნეიპის პერსონაჟში როულინგმა გვაჩვენა ერთ-ერთი საუკეთესო კვანძის გახსნა. ეს პერსონაჟი, დაახლოებით, 3000 თვის განმავლობაში პოტერჰედებისათვის ერთ-ერთი ყველაზე საძულველი იყო, თუმცა, როულინგმა ერთ თავში, სევერიუს სნეიპი ყველასთვის საყვარელი პერსონაჟი გახადა. ამასთან დაკავშირებით მისაუბრია ოჯახის წევრებთან, ფაქტობრივად, ამ ზაფხულში რომ დავიწყე, შემიტყუა და შემიტყუა, შვიდივე წიგნის შინაარსი ზეპირად იცის ოჯახის ყველა წევრმა. მისაუბრია ასევე, მეგობრებთან, მასწავლებლებთან: ეკასთან და მათემატიკის პედაგოგ გოჩა გაბუნიასთან. აღსანიშნავია, რომ "ჰარი პოტერში" გვხვდება ძალიან ბოროტი და ძლევამოსილი ჯადოქარი _ გრინდელვარდი, რომელიც 13 წელიწადი თარეშობდა თავისუფლად როულინგის მიერ შექმნილ სამყაროში და ის საბოლოოდ დაამარცხა ალბუს დამბლდორმა. დუელი მათ შორის გაიმართა 1945 წელს, იმ წელს, როცა მსოფლიოში დამარცხდა ფაშიზმი, სავარაუდოდ, როულინგმა სწორედ ამ ამბავზე გაავლო პარალელი. კიდევ ის მინდა ვთქვა, რომ ნაწარმოების წერის პროცესში გარდაიცვალა როულინგის დედა, მწერლის ამ ტარგედიამ ნაწარმოები მძაფრი გახადა. მეტიც, ბოლო მეშვიდე ნაწილის გამოსვლის წინ როულინგი იმუქრებოდა, რომ კულმინაციის ეპიზოდში მოკვდებოდა ჰარი პოტერი. მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი: გაეროს იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა მოუწოდა გაეროს წევრ ქვეყნებს, არ ეთარგმნათ "ჰარი პოტერი" იმ შემთხვევაში, თუ მწერალი ჰარის მოკლავდა. ბავშვების ფსიქიკას არ დაგამახინჯებინებთო, უთხრა მწერალს გაეროს გენერალურმა მდივანმა და ამით გადარჩა ჰარი სიკვდილს.

დიდი, ცნობილი მეცნიერი ჩვენი თანამემამულეა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თვალსაჩინო ფიზიკოსი ატომბირთვის თეორიის დარგში, აკადემიკოსი თეიმურაზ (მილორდი) კოპალეიშვილი 89 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაშინ, როცა გზაფხული იკრებდა ძალებს.

ბატონი თეიმურაზი ჩვენი თანამემამულეა, მე მას დიდი ხანი ვიცნობდი, როგორც ძველ სამტრედიელს, ჭეშმარიტ ქართველს, ღირსეულ ოჯახის შვილს, პიროვნებას, ყოველთვის მეამაყებოდა (არამარტო მე) მისი წარმატებული მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დალოცვილ კედლებში.

მოკლედ, მისი ბიოგრაფიის შესახებ: თეიმურაზ კოპალეიშვილის (ახლობლები მას მილორდით მიმართავდნენ), დაიბადა 1930 წლის 30 იანვარს ქ. სამტრედიაში. ოთხი ვაჟი იზრდებოდა სონია და ისაკ (აკაკი) კოპალეიშვილების ოჯახში: სერგო, თეიმურაზი, პეტრე და ნოდარი. როგორც გადმოცემით ვიცოდი, უმძიმეს წლებში მის ოჯახს ძალიან უჭირდა. ბავშვობიდან ისინი განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით, სწავლობდნენ წარმატებით, სამმა მათგანმა უმაღლესი საინჟინრო განათლება მიიღო სხვადასხვა სპეციალობით. რაც შეეხება ბატონ თეიმურაზს, მან 1943 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის №23-ე საშუალო (ამჟამად № 10 საჯარო) სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად გახსნილ ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც შემდგომ გადაკეთდა ფიზიკა-მათემატიკის რუსულ სექტორად. სტალინური პრემიის სტიპენდიანტი პარალელურად მუშაობდა რკინიგზის სადგურზე მუშად და ოჯახს ეხმარებოდა. ასეთი გზით და მიზანსწრაფვით მავალი ახალგაზრდა 1953 წელს წარჩინებით ამთავრებს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში თეორიული ბირთვული ფიზიკის სპეციალობით, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. იწყება მისი ცხოვრების რთული და საინტერესო გზა, რაზეც ვრცლად აუწყებს საზოგადოებას გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", "ახალი თაობა" და სხვა ცენტრალური გაზეთები. აღსანიშნავია, რომ ბატონი თეიმურაზ კოპალეიშვილი 1964 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა თსუ-ში სხვადასხვა სამეცნიერო თუ სასწავლო თანამდებობებზე: ფიზიკის ფაკულტეტზე თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტად, ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის თეორიული განყოფილების გამგედ, ბირთვული ფიზიკის პრობლემური განყოფილების გამგედ, ხოლო ამ ლაბორატორიის თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის გადაკეთების შემდეგ, 2006 წლამდე იყო თეორიული ბირთვული ფიზიკის განყოფილების გამგე, პარალელურად,



1974-87 წლებში იყო თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე.

თ. კოპალეიშვილმა წარმატებით გაიარა სამეცნიერო მოღვაწეობის რთული გზა: 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1976 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, 1979 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს _ აკადემიის ნამდვილ წევრად.

ბატონი თეიმურაზი გახლდათ თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი თავის კოლეგებთან, აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელთან, ალბერტ თავხელიძესთან და რევაზ სალუქვაძესთან ერთად.

აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობა. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ბირთვული ფიზიკის სპეციალურ კურსებს თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე. მის კალამს ეკუთვნის დაჯახების კვანტური თეორიის ფუნდამენტური სახელმძღვანელოები, რომელთაგან მოკლე კურსი ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა საზღვარგარეთ. საინტერესოა, რომ ეს წიგნი გახდა 2000-2001 წლების ბესტსელერი. ბატონი თეიმურაზის ხელმძღვანელობით ხომ არაერთმა ახალგაზრდამ გაიკვლია გზა ცხოვრებაში და დღეს ისინი მსოფლიოში კარგად ცნობილი მეცნიერები არიან. ამაზე დიდი რა უნდა გაიკეთო!

1977 წელს თ. კოპალეიშვილს ავტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია ბირთვებზე ფოტოდაბადების პროცესების შესწავლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის. აგრეთვე, პეტრე მელიქიშვილის სახელობის (1973), საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს (1983), ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის (1988) პრემიები.

როგორც კოლეგები აღნიშნავენ, ის იყო გამოუსწორებელი ოპტიმისტი, 70 წლის ასაკში დაწერა პუბლიცისტური წიგნი "მომავლის იმედით", ხოლო 80 წლისამ ამ წიგნის გაგრძელება "ისევ მომავლის იმედით", საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ოპტიმისტურად ეჩვენებოდა საქართველოს მომავალი.

ბატონი თეიმურაზი ხშირად სტუმრობდა სამტრედიას, მეგობრებს, ახლობლებს. მონაწილეობდა სამტრედია ქალაქის 100 წელზე მიძღვნილ დიდ სახალხო ზეიმში. სამშობლოს, მშობლიური კუთხის და ნასათუთევი ოჯახის წინაშე ვალმოხდილი ქართველი მეცნიერი, გულმართალი და ქვეყნის მომავალზე გულანთებული ბატონი თეიმურაზ (მილორდი) კოპალეიშვილის უკვდავი სული 2019 წლის გაზაფხულის დამდეგს ჩვენი ქვეყნის სახელოვან მამულიშვილთა სავანეს შეუერთდა.

მსოფლიო სიბრძნეს თუ დავესესხებით, "ადამიანის ნამოღვაწარი პირუთვნელად მისი სიკვდილის შემდეგ შეფასდება", "ადამიანი ის დიდებული განძია, რომელსაც მეორედ ვერავინ ვერ შექმნის".

დარწმუნებული ვარ, ბატონი თეიმურაზ (მილორდ) კოპალეიშვილის სახელს და საქმეს დავიწყება არ უწერია.

ნათელა გელეიშვილი

“რომ უამრავი ადამიანის სულიდან უყურო სამყაროს”

ნათია ნაცვლიშვილი

ამ გოგონაში დიდი ენერგია ბობოქრობს, მას შეუძლია, მძიმე ცხოვრებაგამოვლილი ადამიანის თვალით დაინახოს სამყარო. ამბობს, რომ ყველაზე უკეთ პოეზიის ენა ესმის, მისი პოეტური ენა კი ბევრი ადამიანისთვისაა მოსაწონი. ნანუკა ჭკუასელი ფეისბუკსივრცეში მისი ულამაზესი და ღრმად ემოციური ვერლიბრებით შემოიჭრა. ნანუკა სამტრედიელია, დაწყებითი განათლება სოფელ ტოლების სკოლაში მიიღო, შემდეგ მეთერთმეტე საჯარო სკოლაში სწავლობდა, მერე თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ივი ილიას უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ნანუკა უკვე სამი პოეტური კრებულის ავტორია, თავის ადამიანურ განცდებს ამჯერად საგაზეთო ინტერვიუში გაგვიზიარებს.

_ სოფელში დაიბადე და გაიზარდე, შენს ლამაზ ბავშვობაზე წარმოდგენას შენი ლექსები გვიქმნის, სად და როდის გაავლე პირველი ლექსის პწკარი?

_ სოფელში გატარებულმა ბავშვობამ, რა თქმა უნდა, თავისი გავლენა იქონია. მახსოვს ფრაგმენტები ბავშვობიდან, როდესაც ვიპარებოდი ბუნებაში ჩემი უზარმაზარი ჩანთით და ვწერდი გამოგონილ თუ საკუთარ თავს გადამხდარ ამბებზე, მიუხედავად ამისა, აქტიურად წერა 13 წლისამ დავიწყე და მივხვდი, რომ არავინ ისე არ ისმენს ჩემს თითოეულ ემოციას, როგორც პოეზია.

_ რას უკავშირდება შენი არჩეული ფსევდონიმი?

_ “გვინინა” რამდენიმე წლის წინ დავირქვი. ყველამ იცის ჩემი სიყვარული გვირილების მიმართ, რაღაცნაირად პარალელი მათთან გავავლე და ფაქტობრივად, უკვე ყველგან ასე მომმართავენ, რაც მე ძალიან მომწონს.

_ შენს ფილოსოფიურ, არამსუბუქ და სევდის დამტევ ლექს-ვერლიბრებს უკვე მთელი საქართველო იცნობს, მათ სოციალურ ქსელში ძალიან კარგი გამოხმაურება აქვთ, თავად შენთვის ვისი აზრია ღირებული?

_ ჩემთვის თითოეული ადამიანის აზრი უმნიშვნელოვანესი და ღირებულია, ძალიან გამიმართლა, რადგან სწორედ ისინი ქმნიან საფუძველს, რომ გავიზარდო საკუთარ საქმიანობაში და ეს ერთგვარი მოტივაციაა ჩემთვის. ამას გარდა, თითოეული მკითხველის ყურადღებას უაღრესად ვაფასებ.

_ რომელია ყველაზე პოპულარული? უამრავმა გააზიარა დედისადმი მიძღვნილი შენი ლექსი, რომელიც უმძაფრესს, შენი ასაკისათვის ვერშესაცნობ, ვერშესაწვდენ სევდა-ემოციას იტევს, თანაც, ღმერთმა დედა კარგად გიმყოფოს, ასეთ ლექსებს უდედობაგამოვლილნი უფრო ქმნიან! რამ გამოკვება და რა კვებავს შენს ფანტაზიას?

_ კი, არის ლექსები, რომლებიც ასე სწრაფად ვრცელდება და დროთა განმავლობაში ამის მიზეზიც გავაცნობიერე. არის რაღაც კონკრეტული ტკივილი, რომელიც ყველა ადამიანისათვის ძალიან ახლობელია, შესაბამისად, ამ ლექსებში ისინი საკუთარ თავს, საკუთარ ემოციას და ისეთ ფიქრს პოულობენ, რომელიც, შესაძლოა, არასოდეს გამოუთქვამთ. რაც შეეხება ფანტაზიას, ეს ჩემთვის სრულიად ამოუხსნელი მოვლენაა, სწორედ ამიტომ არის პოეზია უკიდეგანო, საოცარ თავისუფლებას გაძლევს, რომ უამრავი ადამიანის სულიდან უმზირო სამყაროს...

_ როგორია შენი სტუდენტური წლები, რა ინტერესები გაქვს?

_ რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ ძიების პროცესში ავირჩიე ქართული ფილოლოგია და ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, თუმცა არა_ საბოლოო. ჩემი სტუდენტური ცხოვრება სრულიად განსხვავდება იმ ცხოვრებისაგან, რომელზეც მუდამ საუბრობს უფროსი თაობა. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად განსხვავებული ეტაპია და ძალიან საინტერესო, რადგან თვითგამორკვევისა და განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა.

_ როგორ გამოეცი ლექსების კრებულები?

_ კეთილი ადამიანების დახმარებით. პირველი იყო “მინდა მერქვას პოეზია” 14 წლის ასაკში გამოცემული და ძალიან ბავშვური. მეორე _ “მომეცი წუთი” და ბოლოს “გვინინასეული”. სამივე წიგნი ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსხვავებული ერთმანეთისაგან. ასაკის ცვალებადობა და ზრდა მკაფიოა. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და შესაბამისად, იქ მყოფი ადამიანებიც ძალიან იყვნენ ჩართულნი ამ პროცესებში. სწორედ ჩემ სკოლაში, არაჩვეულებრივი პედაგოგის დახმარებით შედგა მეორე წიგნის პრეზენტაცია, რაც, ფაქტობრივად, გზის გაკვალვაში დამეხმარა და მეტი სითამამე შემძინა. დანარჩენს კი ლექსების სიმრავლე და დრო გვაჩვენებს.

_ ვინ არის შენი ლექსების პირველი წამკითხველი?

_ პირველი წამკითხველი არასდროს არის შემთხვევითი. ჩემთვის ამას სხვა დატვირთვა აქვს და ბევრჯერ მითქვამს, რომ ადამიანი, რომელსაც დაწერისთანავე ლექსს ვაკითხებ, არის ის, ვისაც საკუთარ სულს ვანდობ! ასეთი კი, თუმცა რამდენიმე, ძალიან განსაკუთრებულია.

_ შენი პოეზია მოიცავს: გარესამყაროსადმი შენს დამოკიდებულებას, შენს წარმოდგენას სიკეთეზე, სიყვარულზე, წუხილს ამ გრძნობათა დეფიციტზე, დაცლილ ქართულ სოფლებზე, უგულო ადამიანებზე. არსებობს ისეთი თემა, რომელზე წერაც ვერ გაგიბედავს?

_ გარდატეხის ასაკში, როდესაც, საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, უზომოდ მეამბოხე ვიყავი, ვწერდი ყველაფერზე, არ მქონდა არაფერი დაფარული და ეს ამ ეტაპზეც მომყვება, მე ღია ვარ ნებისმიერი თემისთვის და ადამიანისთვის, არ არსებობს საკითხი, რომელზეც არ დავწერ და არ ვისაუბრებ, თუმცა ამას გავაკეთებ ისე, რომ მკითხველისთვის გამაღიზიანებელი არ იყოს. საზოგადოება მიიღებს ყველაფერს, რაც გულწრფელია და არ ყვირის, სწორი მიწოდებაა საჭირო.

_ ვინ არიან შენი საყვარელი როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოეტები?

_ ქართული პოეზია ძალიან მიყვარს და არ იქნება გასაკვირი, თუკი გალაკტიონს გამოვყოფ, შემდეგ, გრანელს, პაოლოს, ნიშნიანიძეს... უცხოელი პოეტებიდან გამოვარჩევდი ფრანსუა ვიიონის შემოქმედებას, თუმცა არჩევა მაინც რთულია, რადგან მათი ჩამონათვალი გაცილებით დიდია!

_ რამდენად ხშირად სტუმრობ შენს მშობლიურ სოფელს, რამდენად მძაფრია შენი კერიის პატრიოტიზმი?

_ ემოციური თვალსაზრისით და შეგრძნებებით სიტყვა სოფელზე ვგრძნობ, როგორ მენთება თვალები, და სურვილი მიჩნდება, ვისაუბრო დაუსრულებლად, რადგან მიყვარს ჩემი მშობლიური სახლი და იქაური ყველაფერი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელმა წლებმა, თუნდაც, ბებიას გარდაცვალებამ, ხელი შემიშალა, რომ თავისუფლად ჩავიდე და მოვეფერო მას. მტკივნეული აღმოჩნდა იმ ადგილების ყურება, რომლებიც უამრავი ადამიანის ნაბიჯებს იტევდა და ახლა მათგან მხოლოდ ნაკვალევია. ამიტომ ჯერ კიდევ საკუთარი მოგონებებით ვაცოცხლებ ყველას და ყველაფერს, რაც უძვირფასესია.

_ დაგვემშვიდობე რომელიმე შენი საყვარელი სტროფით...

_ ჩემთვის უსაყვარლესი ჩანახატიდან დავიხმარ სიტყვებს: “იმ დღისთვის, როცა წერა აღარ შემეძლება, სიტყვებს დაგიტოვებ: სიტყვებს, რომლებიც შენ უნდა დაასრულო”.

პ.ს. მკითხველს ვთავაზობთ მის ლექსს.

უკაცრავად, თქვენს სახელზე წერილია,
მისამართი: გამომგზავნი: დედათქვენი,
გწერთ, რომ მისი კარგად ყოფნა მოგეჩვენათ.
პირველად გწერთ, ალბათ, რაღაც გაუჭირდა,
როდის იყო წუწუნებდა დედათქვენი,
ამ ბოლო დროს სუნთქვაც თითქოს გაუხშირდა,
იმ სიტყვებით, არასდროს რომ შეარჩენდით,
გითვლით, ყელთან რომ შეიკრათ პალტოს ღილი,
დღეს იწვიმებს, კარგად ჭამეთ, არ ირბინოთ,
დაავიწყდა, რომ გაზრდილა მისი შვილი,
არ გაბრაზდეთ, იქნებ ცოტა გაიღიმოთ.
ღარიბია, საპატარძლო კაბით დადის,
აღარ ახსოვს არც ასაკი, აღარც ლხენა,
ნაოჭები მოუქსოვა თვალებს დარდის,
ვინ იტყოდა, დედა თუკი მოიწყენდა.
ისევ ერთი პაწაწინა მუცელი აქვს,
ვერაფრით ვერ მოირჩინა მშობიარემ,
გწერთ, რომ დედა და დაუწერლად უცვლელია,
არ გავალებთ, თუმცა მაინც მოუარეთ.
წერილს მისი ხელებიდან ლუკმას ატანს,
სულ ეს არის სიცოცხლეში, რაც კი ჰქონდა.
ბოდიშს გიხდით, რომ გწერთ,
რადგან უნებლიედ დედა თუკი მოგაგონდათ.
გწერთ, რომ სახლში ძველ მაგიდას მტვერი ადევს,
კედლებს ისევ რომ ემჩნევათ წვიმის ღარი,
გწერთ, რომ თქვენი სურნელი აქვთ ცისფერ ფარდებს,
რომელს ახლა აღარ არხევს აღარც ქარი.
თქვენს ტანსაცმელს თავად იცვამს მომცრო მხრებზე,
ისე ძლიერ დაღლილია დედათქვენი, წერილს წერს
და სევდა ათოვს რკინის ძვლებზე,
გწერთ, რომ მისი კარგად ყოფნა მოგეჩვენათ,
და თქვენსავით იმალება კარადაში,
ორად მოხრილ მანძილს ზომავს მუხლთან მკერდზე,
ენატრება ცის ყურება ფანჯარაში და სიჩუმით საუბარი არაფერზე.
უკაცრავად, თქვენს სახელზე წერილია,
მისამართი: ბავშვობა და გამომგზავნი: დედათქვენი.

მრავალმხრივობა ნიჭისა

აკაკი შანიძე წერდა:

“ნიკო მარი დაიბადა 1864 წელს. პირველი განათლება მან მიიღო ოზურგეთში, რომელსაც დღეს მახარაძე ჰქვია. 1884 წელს იგი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1888 წელს და იქვე დატოვეს ასპირანტად სომხური ენის კათედრაზე პროფესორობისათვის მოსამზადებლად”.

...

ა. ცაგარელის შემდეგ პეტერბურგის ქართველთმეტყველების დროშა მაღლა ეჭირა პროფესორ ნიკო მარს, რომელმაც ძველი ქართული ძეგლების მეცნიერული გამოცემისა და თარგმნის საქმე მაღალ დონეზე აიყვანა. ნიკო მარი იყო პეტერბურგ-პეტროგრად-ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიკოსი. მეტად საყურადღებო მასალები მოიპოვა ნიკო მარმა სინას მთაზე, სადაც 1902 წელს იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმყოფებოდა. ბევრი აქვს გაკეთებული მარს “ვეფხისტყაოსნის” საკითხების გასარკვევად.

...

აღსანიშნავია, სხვათა შორის, რომ ნიკო მარი ყოველგვარ დახმარებას უწევდა და ხელს უწყობდა თავის მოწაფეებს სამეცნიერო საქმეში. კერძოდ, მე მან მომიწყო სამეცნიერო მივლინება მთის ქართული კილოების შესასწავლად: 1911 წელს ფშავსა და ხევსურეთში, 1913 წელს კი მთიულეთ-გუდამაყარსა, ხევსა და პირიქით ხევსურეთში, აგრეთვე თუშეთსა და ფშავში. ჩემს მიერ მაშინ ადგილობრივ შეკრებილი ფოლკლორული მასალები და დიალექტოლოგიური ლექსიკა ამჟამად იწყობა და წელს დაიბეჭდება”. _ ვკითხულობთ ნიკო მარის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავ წერილში 1984 წელს, წერილის ავტორი კი ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე გახლავთ.

155 წელი სრულდება ნიკო მარის დაბადებიდან.

ლევან გაბაჩავა

“ვარდებით და ვარდის ეკლებით მოფენილი გზა”

სასიხარულოა, რომ 2018 წელს ქართველმა მკითხველმა იხილა ჩვენი თანამემამულის, ღვაწლმოსილი მშენებლისა და ხელმძღვანელის, ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილის საკმაოდ ტევადი, შთამბეჭდავი გამოცემა “ოქროს აკვანი მოწამეთაში”, რომელიც ხანდაზმულობის ასაკში დაიწერა და გამოიცა ავტორის მიერ. როგორც თავად ამბობს, ეს არის მისი უძილო ღამეების ნაყოფი.

ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილი გულღიად, სრულიად გულწრფელად გვიამბობს მის მიერ “ვარდებით და ვარდის ეკლებით მოფენილი გრძელი გზის” შესახებ. საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებზე, რომლითაც ის ცხოვრებამ უხვად დაუჯილდოვა. პირადი ცხოვრების და მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდების გადმოცემით ავტორი ცნობილ ლათინურ სენტენციამდე მიდის: “ვავაკეთე, რაც შემეძლო, სხვამ გააკეთოს უკეთ”.

“ოქროს აკვანი მოწამეთაში” საშუალებას იძლევა, გავეცნოთ ეროვნულ ფასეულობებზე გაზრდილი, ნიჭიერი და ენერგიული პიროვნების, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული მაღალი პროფესიონალის ღვაწლს, რომელსაც მადლიერებისა და სიყვარულის ნიშნად დონეცკელები “ლეგენდარულ მეძმარიაშვილს” ეძახდნენ. მისი ფესვები ხომ სოფელ ბაშთან, დედულეთი კი სოფელ ეწერთანაა დაკავშირებული. წიგნი მხოლოდ ავტობიოგრაფიული ხასიათის არ არის. მასში უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს ამოვიკითხავთ მსოფლიოში ცნობილ პიროვნებებზე, “მილიონი ვარდის ქალაქზე” და ბატონი ნოდარის ლამაზ, ღირსეულ ოჯახზე.

ჩვენი გაზეთის მკითხველს მინდა მივაწოდო ერთ-ერთი ამონარიდი წიგნიდან “ოქროს აკვანი მოწამეთაში”, ჩვენს საამაყო მამულიშვილზე, საყოველთაოდ აღიარებულ საოპერო მომღერალზე, ბათუ კრავეიშვილზე. დარწმუნებული ვარ, სიამოვნებას მოგანიჭებთ.

<u>*ნათელა გელეიშვილი*</u>

სამტრედიელი ბარიტონი _ ბათუ კრავეიშვილი

“მიეცით ხალხს პური და სანახაობა”.

ომის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბჭოთა ჯარმა დაიკავა _ წითელარმიის გამარჯვებულმა ჯარისკაცებმა. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივმა მოსახლეობამ საბჭოთა ჯარისკაცები ახალ დამპყრობლებად ჩათვალა და არ მიიღო, პროტესტის ნიშნად მათთან კომუნიკაციაზე თავს იკავებდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში უფრო სერიოზული ინციდენტებიც ხდებოდა. ერთი სიტყვით, სიტუაცია დღითიდღე იძაბებოდა, მის განსამუხტად განსაკუთრებული ზომების მიღება გახდა საჭირო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად სპეციალური კულტურული ღონისძიებების ჩატარება გადაწყვიტა. ევროპელებს უნდა ენახათ და სცოდნოდათ, რომ საბჭოთა ხალხი არც “ჩრდილოეთის დათვი” და არც დამპყრობელი იყო.

საქართველოს წილად ხვდა ავსტრია. ქართველი მუსიკოსების, მომღერლებისა და მოცეკვავეების ჯგუფს კონცერტების ციკლი უნდა გაემართა ავსტრიის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის მის დედაქალაქ ვენაშიც ქართველ ხელოვანთა დელეგაციაში საქართველოს კონსერვატორიის კურსდამთავრებული, უკვე ცნობილი მომღერალი ბათუ კრავეიშვილიც იყო. წინასწარ მომზადებულ საკონცერტო პროგრამაში ი. შტრაუსის შემოქმედებას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. კონცერტის ორგანიზატორებმა ვენის მცხოვრებლებისგან გაიგეს, სახალხო ზეიმებით რომელი მოედანი იყო ომამდელ ვენაში ყველაზე პოპულარული და განთქმული. სწორედ ამ მოედანზე საბჭოთა სამხედროებმა სპეციალური სცენა მოაწყვეს და იმ დროისათვის საუკეთესო აპარატურით აღჭურვეს.

ზაფხულის თბილი, მზიანი დღე იყო. მოედანზე ვენელები არ ჩანდნენ. ქუჩაში გამომავალი აივნის კარებიც კი დაკეტილი ჰქონდათ. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო...

კონცერტი მაინც დაიწყო, თუმცა მცირედი კორექტირებით. ბათუ კრავეიშვილის საკონცერტო ნომერი, რომელიც წარმოდგენის ბოლოს უნდა აჟღერებულიყო, პირველ ნომრად გადმოიტანეს. ორკესტრის თანხლებით გაისმა ბათუ კრავეიშვილის არაჩვეულებრივი ბარიტონი. მომღერალი გერმანულ ენაზე შტრაუსის ‘‘ბოშათა ბარონს’’ ასრულებდა.

აქა-იქ ფანჯრები გაიღო. აივნებზე გაუბედავად გამოვიდნენ გაკვირვებული ვენელი შტრაუსის თაყვანისმცემლები. ჯერ ტაქტში ხელების ქნევით აჰყვნენ მომღერალს, შემდეგ ჭრელი თავსაფრები მოიხსნეს და ააფრიალეს. არია დამთავრდა, ატყდა მქუხარე აპლოდისმენტები და შეძახილები. ვენელები ნომრის გამეორებას ითხოვდნენ. ბათუმ გაიმეორა ერთხელ მეორედაც... ვენელები უკვე მოედანზე აეკვეხნენ. ქართველმა მსახიობებმა მაყურებლის მოთხოვნას ალღო აუღეს და კონცერტის პირველი ნაწილი მთლიანად ავსტრიელ კლასიკოსებს: მოცარტსა და შტრაუსს დაუთმეს. სახალხო ზეიმი შედგა. იმ წუთებში აღარც დამპყრობლები იყვნენ და აღარც დაპყრობილები. ეტყობა, საყოველთაოდ ცნობილი ძველი სიბრძნე ‘‘მიეცით ხალხს პური და სანახაობა’’ არც ერთ დროს არ კარგავს აქტუალობას.

<u>*წიგნიდან “ოქროს აკვანი მოწამეთაში”*</u>

მოგონებები სკოლაზე ბავშვობაში დაბრუნება...

1960 წელს მშობლებმა მიმიყვანეს ამიერკავკასიის რკინიგზის №24 საშუალო სკოლის პირველ კლასში. მოხდა რკინიგზის სკოლების ნუმერაციის შეცვლა და 1970 წელს დავამთავრე რკინიგზის №14 საშუალო სკოლა. მამაჩემი იყო რკინიგზის მემანქანე და იმ დროისათვის მოითხოვდნენ, რომ რკინიგზელების შვილებს რკინიგზის სკოლაში უნდა ესწავლათ. აგრეთვე იყო სხვა მოტივაციაც, ჩემი მამიდა, ცნობილი ფილოლოგი შურა კახაძე ამ სკოლის პედაგოგი გახლდათ. სკოლის ტერიტორიაზე იდგა ორი კორპუსი და ჩემი სწავლის პერიოდში მოხდა მათი დაკავშირება ახალი შენობის ჩაშენებით. ასეთმა გაფართოებამ გააუმჯობესა პირობები და ორცვლიანი სწავლიდან გადავედით ერთ ცვლაზე. ჩემი პირველი მასწავლებელი მარო რამიშვილი იყო. რუსულს გვასწავლიდა მანია წურწუმია, შემდეგში _ გალაკტიონ ტაბიძის რძალი ტატიანა ტაბიძე და ლილი კაზაროვა. მათემატიკას მასწავლიდა გივი ადეიშვილი, ფიზიკას _ ნანი მაჩიტიძე და საშა ბიბილეიშვილი, გერმანულს ლორეტა კინწურაშვილი და ლამარა ნოზაძე, გეოგრაფიას ზინა გაგუა, ბიოლოგიას ქსენია დადანიძე, ისტორიას თამარ ჯანელიძე, ქიმიას ნინა წიქორიძე, დაბალ კლასებში ქართულს მასწავლიდნენ ქსენია და ილია გოგოძეები. ფიზკულტურას გივი კალაძე, თამარ რუხაძე და გენო მუქერია. მათი დამსახურება იყო ჩემი გაგზავნა თბილისში ჭადრაკის ტურნირში მონაწილეობისათვის. რკინიგზელთა სასახლეში ტარდებოდა შეჯიბრი ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელის, შიშოვის ხელმძღვანელობით. ეს იყო შესარჩევი ტურნირი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისათვის. გამოვლენილი შედეგების მიხედვით დააკომპლექტეს გუნდი, რომელშიც მე მოვხვდი. ტურნირი იმართებოდა ლენინგრადში. გავემგზავრეთ მატერებლით და მთელი მგზავრობის პერიოდში მიხეილ შიშოვი დაუდალავად გვიტარებდა გაკვეთილებს. აღნიშნულ ტურნირში გავხდი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მესამე ადგილის პრიზიორი მოსწავლე გოგონათა შორის, მაშინ მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი. დაუვიწყარია ჩემთვის ის შეხვედრა, რომელიც მომიწყვეს სამასწავლებლოში დირექტორის, ბატონი გიორგი კანდელაკის ხელმძღვანელობით. მახსოვს გოგიტა მაჩიტიძის სიტყვები: “ბიძი! შენ კარგი გოგო ყოფილხარო”. თანამედროვეებს, ალბათ, სასაცილოდ მოეჩვენებათ, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარია პიონერთა და კომკავშირების რიგებში მიღებით გამოწვეული სიხარული. ჩვენი სკოლის პიონერთა ხელმძღვანელი იყო კაკალა ოდიშარია, სკოლა რაიონში გამოირჩეოდა პედაგოგების მაღალი კვალიფიკაციითა და დისციპლინით.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა. დამამთავრებელ კლასში ქართულს მასწავლიდა შურა კახაძე. საკონტროლო წერა ჩაგვიტარდა მე-5, მე-6 გაკვეთილზე, დრო არ გვეყო და შემდეგში გავაგრძელეთ. რვეულები როცა აკრიბა, მაშინ გამოგვიცხადა, ახლა საგამოცდო ბილეთებზე უნდა ვიმუშავოთო, ბავშვები ავწრიალდით, ისეთი თვალებით გამოგვხედა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დაიწყო “ვეფხისტყაოსნის” ახსნა (რომელიც სხვა მასწავლებელთან გვქონდა ნასწავლი). არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს პროცესი, როდესაც დაამთავრა, ჟურნალი აიღო და გავიდა. ჩვენ, ბავშვები კარგა ხანს გაუნძრევლად ვისხედით ჯგუფში. ალბათ, მე ვერ ვიქნები პირველი და ორიგინალური, რომელიც განსაკუთრებულად მოიხსენიებს შურა მასწავლებლის მაღალი კლასით ჩატარებულ გაკვეთილებს.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, 66 წლის ვარ. არ ვიცი, ვისთვის ბევრია და ვისთვის ცოტა, მაგრამ ამ წუთში მე ჩემს საკლასო ოთახში ვიმყოფები და მოგონებებმა ბავშვობაში დამაბრუნა...

ამ ლამაზი წლების შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა, ისეთი უდარდელი და ხალასი აღარ იყო ცხოვრება, უკვე თავად მიხდებოდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. დავამთავრე ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი ჩემი რაიონის საჭადრაკო კლუბის დირექტორად, ბამბის სართავი ფაბრიკის მთავარ ინჟინრად, ბალნეოლოგიური კურორტის დირექტორად, გამგებლის მოადგილედ. ამჟამად ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. უზომოდ შეყვარებული ჩემს რაიონზე, წარსულზე, აწმყოსა და იმედიან მომავალზე. ვარ ბებია, ჩემი ყველაზე დიდი საგანძური ჩემი შვილი ნინო ვაშაკიძე და მისი ლამაზი ოჯახია.

<u>*ლიზა კრავეიშვილი*</u>

<u>*სურათზე: ლიზა კრავეიშვილი, ნათელა ძიგუა, ელიზა რიკავავა.*</u>

სკოლა "ცოდნა" სათნოების სახლში

ნათია ნაცვლიშვილი

კერძო სკოლის "ცოდნა" სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ლუიზა მიქაუტაძემ და მისმა მოსწავლეებმა სამტრედიის სათნოების სახლის მოხუცებს ერთი დილა გაულამაზეს. ამ სახლს მიმსვლელი და მომკითხავი არასოდეს აკლდა, სათნო მოხუცები განებივრებულნი არიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების თუ სხვადასხვა დაწესებულებების ყურადღებით. აქ ბინადრობენ ადამიანები, რომლებიც წარსულში სხვადასხვა პატივსაცემ თანამდებობაზე იმყოფებოდნენ, დღეს კი ნათესავ-ახლობელთა გარეშე უწევთ ცხოვრება. ზოგიერთმა ოჯახი ვერ შექმნა, ზოგმა შექმნა მაგრამ... ამდენად, ასეთ ადამიანებს საზოგადოების ყურადღება ესაჭიროება.

"ცოდნელებმა" მოხუცებს საკვები პროდუქტებიც მიართვეს. განსაკუთრებით კი მასპინძლები მოსწავლეების მიერ შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა მოხიბლეს. როგორც ბავშვებმა გვითხრეს, ისინი ცეკვას არ აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ რამდენიმე ქორეოგრაფიული ნომერი სპონტანურად შეასრულეს.

ბავშვები დალოცეს და მადლობა მოახსენეს ყველა სტუმარს 101 წლის გალინა ზაქრაძემ და 74 წლის მიმოზა კიკაჩეიშვილმა, რომელმაც გვითხრა, რომ მუსიკის პედაგოგია. ქალბატონმა მიმოზამ ბავშვებს შეახსენა, თუ რა დიდი მუსიკალური კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა საქართველო, მან ხელოვნების ერთგულებისაკენ მოუწოდა მოსწავლეებს და პედაგოგებს მადლობა გადაუხადა საინტერესო და ლამაზი დღისათვის.

ლუიზა მიქაუტაძე: "აქ არიან სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრები: მეხუთე, მეექვსე და მეშვიდეკლასელები. ჩვენი მიზანია, ეს ბავშვები იყვნენ საზოგადოებრივად აქტიურნი, იცოდნენ, რომ მოხუცებს სჭირდებათ ადამიანური სიყვარული, სითბო, რომ მათ არ ვაგრძნობინოთ სიმარტოვე. დღეს ჩვენთან ერთად არიან ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი როზეტა გაგულია, გერმანული ენის პედაგოგი, მაია კახაძე და მშობელი თამარ ზამთარაძე. ჩვენ ამ სახლს წარსულშიც ვსტუმრობდით და მომავალშიც არაერთხელ ვეწვევით".

სათნოების სახლში (დირექტორი მამა შიო ჭაფოძე) ამჟამად 23 ბენეფიციარია.

გიორგი ზაქარიაძე _ იმერეთიდან კახეთში შეპარული ბაში-აჩუკი

30 აპრილს ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფელში ქართული ხალხური ჭიდაობა გაიმართა. მასში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების უძლიერესი ფალავნები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ შორის იყვნენ ეროვნული ნაკრების წევრები.

შეჯიბრება პირადი პირველობით გაიმართა, სადაც საპრიზო ფონდში გამარჯვებულისთვის განსაზღვრული იყო 1000 ლარი.

კლუბ "ფალავანის" აღზრდილმა, გიორგი ზაქარიაძემ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო და საუკეთესო შედეგიც აჩვენა. მან წინასწარ შეხვედრაში ყველა მოწინააღმდეგე დაჯაბნა. ფინალურ ორთაბრძოლაში კი ის მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, საქართველოს ოთხგზის ფალავანს ქართულ ჭიდაობაში, ადამ ოქრუაშვილს დაუპირისპირდა. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა ჭიდაობის ყველა სპეციალისტისა და მათ შორის გულშემატკივრისთვის, რადგან გიორგი ზაქარიაძემ ზუსტად 45 წამში ბეჭზე გააკრა ლეგენდარული ფალავანი ადამ ოქრუაშვილი. კომენტატორმა და ადგილობრივმა მაყურებელმა გიორგი ზაქარიაძეს იმერეთიდან შემოპარული ბაში-აჩუკი უწოდეს. გამარჯვებული სახალხო ზეიმის ფალავნის წოდებას დაეუფლა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ეს ამბავი განსაკუთრებული სიხარულის მიზეზი გახდა გიორგის მწვრთნელებისთვის. ბადრი შენგელიამ და ავთანდილ თარგამაძემ გიორგის წარმატებას ყვარელში ისტორიული გამარჯვება უწოდეს.

11 და 12 მაისს გიორგი ზაქარიაძე ბაქოს გრანდსლემზე მიემგზავრება, სადაც სამტრედიელი ვაჟკაცი საქართველოს ღირსებას დაიცავს.

ნინო ნანიტაშვილი

უმცროს ხელბურთელ გოგონათა გუნდის მორიგი წარმატება

სამტრედიის ხელბურთელთა უმცროსი ასაკის გოგონათა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ცამეტი გუნდი. შეჯიბრი ჩატარდა ოთხ ტურად და გამოვლინდა გამარჯვებული _ ყვარლის მუნიციპალიტეტის გუნდი.

სამტრედიის გუნდმა, რომელმაც ამ შეჯიბრზე შესანიშნავად იასპარეზა, მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო ყვარლის გუნდთან და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

"სამტრედიის მაცნეს" ესაუბრა სამტრედიის ხელბურთელთა კლუბის დირექტორი, გიორგი ხელისუფალი:

"პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ ქალთა გუნდი სამტრედიაში მხოლოდ სამი წელია ჩამოყალიბდა. ისტორიულად, მხოლოდ მამაკაცთა გუნდები გვყავდა, მაგრამ, როცა საჯარო სკოლებში სპორტსმენთა სელექციას ვახდენდით, გამოვლინდა გოგონათა მხრიდან ამ სპორტით დიდი დაინტერესება, ამიტომაც ჩამოვაყალიბეთ გოგონათა გუნდი, ამ სამი წლის განმავლობაში უკვე გოგონათა სამი გუნდი გვყავს. დღესდღეობით სხვადასხვა ტურნირებში გოგონათა სამი ასაკობრივი ჯგუფი ასპარეზობს. ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებულად ასპარეზობს ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც ამჯერად გასულია ნახევარფინალში და იბრძვის ჩემპიონობისთვის. თამაშები 22-23 მაისს გაიმართება. ანალოგიურად, ნახევარფინალში გავიდა საშუალო ასაკის გოგონათა გუნდი, რომელიც ჩემპიონობისათვის იბრძოლებს 4-8 მაისის ჩათვლით. ყველაზე უმცროსი ასაკის გოგონათა გუნდი კი, როგორც მოგახსენეთ, მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ასევე სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ სამივე ამ გუნდის წევრები ირიცხებიან საქართველოს ხელბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში, რომლებიც ემზადებიან ევროპის ჩემპიონატებისათვის, თამაშები ზაფხულში გაიმართება. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ხელბურთელ გოგონათა გუნდის მწვრთნელებს ალექსანდრე ხონელიძეს და ავთანდილ ქავზინაძეს, რომელთა დიდი დამსახურებაა გოგონათა გუნდების ჩამოყალიბება და მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგია მაღალ დონეზე ჩვენი გოგონების ასპარეზობა."

ნათია ნაცვლიშვილი

სამშობლოს სიყვარული

2019 წლის გაზეთ ''კვირის პალიტრის'' მიერ გამოცემული კალენდრის 27 თებერვლის ფურცელს ვათვალიერებდი და ჩემთვის უცნობი პოეტი ზაზა ჰერელი (სუყაშვილი) და მისი ლექსები: ''სოფელში წვიმდა'' და ''ლექართი'' წავიკითხე. ალბათ, ლექართი სოფელია ჰერეთში. ბატონი ზაზას ლექსები მომეწონა და მას სონეტს ვუძღვნი ჩვენს საერთო და მუდმივ სატკივარზე.

ჰერეთი

სამშობლოს გვერდით, სამშობლოში ცხოვრობს პოეტი.
დედა სამშობლო ორი აქვს და ისეთი კარგი!
მათ ჩახუტებულს, ამური წვავს, ანცი და ცეტი,
და მღერის მისი სიყვარულის მუზა და ჩანგი
ორი სამშობლოს მსახურია ზაზა ჰერელი!
და მათ უმღერის სიყვარულის რითმით და ჰანგით
პოეტი არის საქართველოს შვილი ქართველი,
ის სიყვარულით მათრობელა ლექსებს წერს ბანგით
საქართველოა ჰერთა მიწა და მშობლიური,
დაიბრუნეთო ჩვენ გვავალებს მეფე თამარი
ჰყავს ახლა ჰერეთს, მათ მიწა-წყალს სხვა მეთაური
ცას შემორტყმია ცისარტყელას მსგავსი ქამარი?!
ქართველო! გიხმობს და გეძახის შენი ჰერეთი
მზით გააბრწყინე გაანათე მისი ბნელეთი!

გურამ კლატონიშვილი ლეონიანი

სოფელში წვიმებია

სოფელში წვიმებია... უბრალო წვიმებია, უბრალო...
ხეებიც მოხრილან და ქუჩებში მოძრაობენ ქოლგებით;
(ჩვენც ასე დავდიოდით) და ახლა უშენობა დაბრალდა
დროს, რადგან დაგვაშორა: ქუჩებით, ქალაქებით, ოლქებით.
დუმს ახლა პოეზია და შენზე ლაპარაკობს ამინდი...
აპრილსაც შესცივდა და მაისი გადაიცვა ორმხრივად.
ღმერთია ისე ახლო _ სათხოვარს გაიგონებს: _ ცა მინდა _
ცოტათი ავამაღლო, რომ დაბლა გავიარო მოხრილმა.
უბრალო წვიმებია, სათქმელსაც მერამდენედ ველევი,
ფიქრი ველარ სცდება სარკმელთან მოქანავე კვიპაროსს...
წვიმს ასე, უსამშობლოდ... სოფელში დაიტბორა ველები
და შენ კი უცხო ცის ქვეშ დარჩენილს საქართველო გიფარავს!
სოფელში წვიმებია... უბრალო წვიმებია, უბრალო...

ლექართი

შუილო, ბევრჯე მითქომ:
_ წურილფეე-დიდიანად
სოფელს აგდებენ და ქალაქშ მიდიანავ!
აბა ვისთვის ვლეწო გლეხმა კალოები,
როცა ფუძეს ასე აუბრალოებენ...
როცა სახლს ყიდიან მამულ-მიწიანა,
კუთხე იყიდება, განა იციანა?!
კომლი აღარ ადის ქართულ ქოხები და
ეზო-მენახებიც ასე ოხრდებიან.
ერთი პეშვი წყლით და ქოთნის ლობიოთი
დღევანდელობამდე ტკბილა მოვდიოდით
დღეს კი დაივიწყეს კუთხე ზურმუხტული,
მარტო საით წავა გლეხი ქურმუხულით?!
შუილო, ბევრჯე მითქომ:
_ წურულფეე-დიდიანა
სოფელს აგდებენ და ქალაქშ მიდიანავ!

ზაზა ჰერელი (სუყაშვილი)

მჯერა ისევ მოვა...

თუ ოდესღაც იყო ქვეყნად გაზაფხული,
და თუ ბატონობდა მაშინ სიყვარული,
თუ ყვაოდა იმ დროს ტურფა მთა და მდელო,
თუ მღეროდა ერთხმად დედა საქართველო.
თუ ძმას ჰქონდა მაშინ ნდობა თავის ძმისა.
ერთად თუ ათბობდა სითბო ერთი მზისა...
მაშინ მჯერა კვლავაც მოვა გაზაფხული,
ნდობით გამართლდება გაბზარული გული,
ძმას დაუბრუნდება ნდობა თავის ძმისა,
კვლავ გაათბობს ერთად სითბო ერთი მზისა.
ერთად ამღერდება მტკვარი, ფსოუ, თერგი,
ისევ გაიხარებს, ხეჭეჭურის ნერგი,
ისევ დაივანებს, სიყვარული დიდი,
ძმობით განმტკიცდება ჩატეხილი ხიდი,
ისევ აყვავდება, ტურფა მთა და მდელო,
ერთხმად ამღერდება, ისევ საქართველო.

მარინა გოგაძე

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს შოთა პაპავას ბებიის, ქალბატონი

ბელა ოლილავაძე-პაპავას

გარდაცვალების გამო.

ზაიდა კუკულავა-გრიგოლია

სულით და ხორცით მშვენიერო ქალბატონო! ჩვენი შეხვედრა მეხუთე კლასში შედგა. მაშინვე მოვიხიბლე თქვენი განსწავლულობით, ჩაცმის დახვეწილი სტილით, არისტოკრატულობით, გემოვნებით...

წლების განმავლობაში სიმპათია სიმპათიას ემატებოდა, ბოლოს კოლეგები გავხდით, რაც დიდ სიყვარულსა და მეგობრობაში გადაიზარდა.

მომიხაროდა ბატონი ანზორ გრიგოლიას ოჯახში მოსვლა. აქ მხვდებოდა ყოფით ბიწიერებაზე ამაღლებული გრძნობები და ღირებულებები, ინტელექტუალური გარემო, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით აგიზგიზებული გულები, რომელიც გხიბლავდა მაღალი აკადემიური დონით და პროგრესული აზრებით _ ამის ყველაფრის მშვენება კი თქვენ იყავით _ ჩვენი კეთილი დიასახლისი.

ჩემი მდგომარეობის გამო ბოლო დროს ვეღარ განახულობდი, რომელიც ძალიან დამაკლდა და მოგიბოდიშე კიდეც, რაზეც, ტელეფონით ხომ ვსაუბრობთო, _ აქეთ დამამშვიდე, კულტურულო ქალბატონო და კარგო ადამიანო.

მაპატიე, რომ ბოლო ცრემლი ვერ გაგატანე, თუმცა სახლში ალალი ცრემლით დაგიტირე.

მიხარია, რომ გამორჩეული ოჯახის ლამაზი ტრადიციები შენ შვილებსა და შვილიშვილებში გრძელდება.

გემშვიდობები ვალმოხდილო, ღირსეულო, ამაგდარო ადამიანო, ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო!

ჟუჟუნა ფრანგიშვილი
სამტრედიის მე-10 საჯარო სკოლა

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ გრიგოლ მიქელაძეს ძმისშვილის

ზვიად მიქელაძის

გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია თანაუგრძნობს გრიგოლ მიქელაძეს ძმისშვილის

ზვიად მიქელაძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობენ გრიგოლ მიქელაძეს ძმისშვილის

ზვიად მიქელაძის

გარდაცვალების გამო.

---

84 წლის ასაკში გარდაიცვალა არა მარტო სამტრედიელთათვის, არამედ, მთელი ქვეყნისათვის კარგად ცნობილი პიროვნება, ლილი დვალიშვილი. ქალბატონი ლილი იყო შესანიშნავი ექიმი, იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რკინიგზის სამტრედიის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს. გამორჩეული გარეგნობის მქონე ბანოვანი ქალბატონი, იყო კვალიფიციური სპეციალისტი. გახლდათ შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს კობა, თამარ და ეკა კალოიანებს დედის, ქალბატონი

ლილი დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები კობა, თამარი, ეკა კალოიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი დვალიშვილი

დაკრძალვა 12 მაისს, სამტრედია, პატარა ეწერში.

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ლილი დვალიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბაჩუკი შედანია იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ლილი დვალიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნე'' თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს ქალბატონი

ლილი დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

ლაშა უჩავა იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ლილი დვალიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მარინე ქართველიშვილი და გივი ღაღანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ლილი დვალიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნინო ჭკადუა იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ლილი დვალიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მედიკო, ნანა და ბაბული გეგიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი დვალიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მაყვალა და გურანდა გურგენიძეები თანაუგრძნობენ კალოიანების ოჯახს ქალბატონი

ლილი დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

მადლობა!

“მადლმა თქვა, წუთისოფელში ყოფნა, ვაი, რა ძნელია!” დიახ, არ არის ადვილი ექიმის პროფესია, დღისით და ღამით ემსახუროს შეწუხებულ, მძიმე ავადმყოფებს, ინარჩუნებდეს წონასწორობას, მკურნალობდეს, ამხნევებდეს და ანუგეშებდეს მათ. წლებია, თავიანთი საქმის პროფესიონალები, მიმოზა და არჩილ ბეჟუაშვილები, პირნათლად ემსახურებიან პაციენტებს. მათი ღიმილი და სითბო უპირველესი წამალია. უღრმესი მადლობა მათ ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის, კეთილშობილებისა და ადამიანობისათვის!

პატივისცემით მაჟვალა ჩირგაძე

გამომცემლობა “სამშობლოს” დირექტორს, ბატონ

სულიკო ლაზარაშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

პატივისცემით
“სამხრეთის მაცნე”

მსოფლიოს რაც დამართე,
აღარ მინდა მოგონება,
მე, ქართველმა დაგამარცხე,
შენ, სამყაროს ბოროტებავ!

ვულოცავთ!
ბატონ რეზო ნიკოლეიშვილს!

დაბადების საიუბილეო თარიღს გილოცავთ. წარმატებებს გისურვებთ, უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

“სამხრეთის მაცნე”

ბატონ რეზო ნიკოლეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ და იდღეგრძელეთ ჩვენო რეზო.

მეგობრები

ეთერ სარჯველაძე-ქავთარიას!

ბევრი სამტრედიელისთვის კარგად ნაცნობ და დამსახურებულ ქალბატონს, ორი ღირსეული შვილის, დარეჯან და მარინა ქავთარიების დედას, უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ 92 წლის შესრულებას, ვუსურვებთ დღეგრძელობასა და კარგად ყოფნას მისთვის ძვირფასი ადამიანების გარემოცვაში.

დარეჯან ახობაძე, მზევინარ ბოზუა, ნატალია გოგიშვილი, ქეთევან ჭელიძე, ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის აგრარული ბაზრის შესასვლელში, მარჯვენა მხარეს, ფუნქციონირებს მონადირეთა და მეთევზეთა მაღაზია, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ სანადირო და სათევზაო ინვენტარი. ასევე, ცეცხლსასროლი, სასტარტო და პნევმატური თოფები, რევოლვერები და პისტოლეტები საბითუმო ფასებში. შესაძლებელია დაზიანებული ყველა სახის იარაღის აღდგენა-შეკეთება. გაყიდვაშია რეზინის ლაბადები, ჟილეტები, ჩექმები და საწვიმრები. მაღაზია მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 17 საათამდე. ტელ.: 577 41 03 24; 593 25 77 26.

ლილი ჩაბრაძეს!

ჩემო თვალებხატულა, ვერცხლისწყალივით მოუსვენარო, ტკბილო ფერიავ, ვარდობის თვეში საფრანგეთის ცის ქვეშ დაბადებულო ქართველო გოგონავ! 2 წლის შესრულებას გილოცავ, ბებიკო, ჩემო მზეგულავ, საამაყო დიდი ლილი ბებოს სეხნიავ. ამაყად გეტარებინოს მისი სახელი. გაიზარდე ჯანმრთელი, ღვთის წყალობა, ბედნიერი ბავშვობა და ნათელი მომავალი დაგებედოს!

შენი გულიკო ბებო

ქეთევან ტალაბაძეს!

დაბადების დღე დაგელოცოს უფლის წყალობით და კეთილი სურვილებით. ოჯანმრთელოს და იბედნიეროს შენმა ოჯახმა შენი დედისერთა მათეს კაცურკაცობით. გაიხარე ახლობლების, მეგობრების სიყვარულით მდიდარმა. გაზაფხულივით გემაისოს!

ეკა და მაკა პაპავები, თეა ბაბუნაშვილი

დაბადების დღეს გილოცავთ საუკეთესო სურვილებით! სიხარული და ბედნიერება უხვად ჰქონოდეს შენს ოჯახს. ძალიან გვიყვარხარ!

ერისთავების ოჯახი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამხრეთის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა